



საქართველოს ელექტრონული მონაცემობების ბაზრის მიმოხილვა



საქართველოს ელექტრონული მოწყობილობების ბაზრის მიმოხილვა

ავტორი: გიორგი ბულია


ელექტრონული მოწყობილობების ქვეშ იგულისხმება ისეთი მოწყობილობები, რომელთა ფუნქციონირება დამყარებულია ელექტრულ დენსა ან ელექტრომაგნიტურ ველზე. ანგარიში ყურადღებას ამახვილებს იმ ძირითად საექსპორტო თუ საიმპორტო პარტნიორ ქვეყნებზე, რომელთანაც საქართველოს განსაკუთრებით მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა გააჩნია იმ ძირითად ელექტრონულ მოწყობილობებთან ერთად, რომლის ექსპორტსა და იმპორტს ეწევა საქართველო ამჟამად. ანგარიში მკითხველს საშუალებას მისცემს შეაფასოს ქართული ელექტრო მოწყობილობების ბაზრის დინამიკა და წარმოდგენა შეექმნას იმ მთავარ გამოწვევებზე, რის წინაშეც დგას ქართული ბაზარი.

საქართველოს ელექტრონული ბაზარი ხასიათდება რამოდენიმე მნიშვნელოვანი თვისებით:

- ელექტრონული მოწყობილობების წარმოების დაბალი მაჩვენებლები;
- ელექტრონული მოწყობილობების ექსპორტირება ხდება უმეტესად განვითარებად ქვეყნებში;
- ელექტრონული მოწყობილობების ექსპორტში რე-ექსპორტის სიჭარბე;
- ადგილობრივი ბაზრის თანამედროვე სტანდარტებით არასათანადო დარეგულირება.

საქართველო დამოუკიდებლობის მიღების დღიდან ცდილობდა დასავლური ღირებულებების ინტეგრაციას პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. თუმცა საბჭოთა კავშირის ჩაკეტილობისა გამო რთული აღმოჩნდა ევროპულ ეკონომიკურ რელსებზე სწრაფად გადასვლა. საქართველოს დსთ-ს ქვეყნებზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას ადასტურებს 2017 წლის ელექტრონული მოწყობილობების ექსპორტის მონაცემები, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

ექსპორტის განაწილება ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (მლნ ამერიკული დოლარი, 2017 წელი)




დსთ-ს და განვითარებად ქვეყნებზე დამოკიდებულებამ ქვეყანას ცუდი სამსახური გაუწია, რადგან აღნიშნული ქვეყნები არ გამოირჩევიან ელექტრო მონეტარიზაციის კუთხით განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნებით, რამაც ქართველ ექსპორტიორებს უფრო გაუიოლა მათზე მორგება. თავის მხრივ, ქართული ადგილობრივი ბაზარიც ნაკლებად რეგულირდება ევროპული სტანდარტებით, რაც დამატებით ხელს უწყობს ექსპორტში განვითარებადი ქვეყნების წილის ზრდას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით საქართველოში ელექტრო მონეტარიზაციის წარმოება მთლიანი მრეწველობის დაახლოებით 1%-ს შეადგენს, რომელიც თავის მხრივ მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 0.2-0.7%-ს შეადგენს. ამჟამად საქართველოში რეგისტრირებულია 28 კომპანია, რომელიც აქტიურად არის დაკავებული ელექტრონული მონეტარიზაციის წარმოებით.

ადგილობრივი ქართული კომპანიები ძირითადად წარმოდგენილები არიან მცირე ზომის კომპანიებით, რომლებიც მხოლოდ ფრაგმენტულ შეკვეთებზე მუშაობენ და არა მასობრივ წარმოებაზე. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ბაზარზე უკვე არსებობენ კომპანიები, მათ შორის შპს ენერჯი, ს.ს საქცაბელი და ჯეოტექი, რომლებმაც მოახდინეს ევროპულ სტანდარტებზე ადაპტირება და მომავალში გეგმავენ თავიანთი პროდუქტის ექსპორტის გაზრდას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრეცედენტები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენენ და ქართული ბაზარი უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია არა ადგილობრივად წარმოებული, არამედ იმპორტირებული ნაწარმით.

იმპორტი და ადგილობრივი წარმოება (მლნ ამერიკული დოლარი, 2010-2017 წელი)




წყარო: Comtrade.un.org, Geostat.ge

სტანდარტებისა და ტექნიკური რეგულაციების როლი დღევანდელ ეკონომიკაში გაზრდილი უსაფრთხოების მოთხოვნების ფონზე ამოსავალი წერტილია. იმპორტიორ ქვეყანათა ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ შევაფასოთ თუ რამდენად არის ქართული ელექტრონული

მოწყობილობების ბაზარი წარმოდგენილი ევროპული სტანდარტების დამაკმაყოფილებელი ნაწარმით. დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ განვითარებული ქვეყნებიდან იმპორტირებულ ელექტრონულ მოწყობილობებს გააჩნიათ ევროპული სტანდარტების დამაკმაყოფილებელ უფრო მაღალი ალბათობა, ვიდრე განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტირებულ ელექტრონულ მოწყობილობებს. იმპორტიორ ქვეყანათა სტრუქტურა მოცემულია შემდეგ გრაფიკზე:


იმპორტიორი ქვეყნები (მლნ ამერიკული დოლარი, 2017 წელი)



წყარო: Comtrade.un.org

იმპორტის დინამიკიდან იკვთება რამოდენიმე მსხვილი საიმპორტო პარტნიორი ქართული ელექტრონული მოწყობილობების ბაზრისთვის, რომელთა შორის ქარბობს განვითარებული ქვეყნები: თურქეთი, ა.შ.შ., გერმანია და იაპონია. რაც შეეხება ზოგად თანაფარდობას განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებს შორის, 66.5% განვითარებულ ქვეყნებს უკავია განვითარებადი ქვეყნების 33.5% წილის საპირისპიროდ. ასევე საინტერესოა, თუ რა ელექტრონული მოწყობილობების იმპორტირება ხდება აღნიშნული ქვეყნებიდან:


ძირითადი იმპორტირებული ელექტრო მოწყობილობები (მლნ ამერიკული დოლარი, 2017 წელი)



წყარო: Comtrade.un.org

რაც შეეხება ექსპორტს, საქართველო ელექტრონული მონეობილობების ექსპორტს ძირითადად მეზობელ ქვეყნებში ახდენს რისი ორი მთავარი მიზეზიც არის ლოჯისტიკური ფაქტორი და მომხმარებელთა მეტნაკლებად მსგავსი მოთხოვნილებები და ტექნიკური რეგულაციები. საქართველო ელექტრონული მონეობილობების ექსპორტს შემდეგ ქვეყნებში ეწევა:


ექსპორტიორი ქვეყნები (მლნ ამერიკული დოლარი, 2017 წელი)



წყარო: Comtrade.un.org

ასევე ნიშანდობლივია ექსპორტში რე-ექსპორტის დომინანტობა, რომელიც ადგილობრივი წარმოების მწირი მონაცემებისა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით არ არის მოულოდნელი:


ექსპორტის და რე-ექსპორტის თანაფარდობა (მლნ ამერიკული დოლარი, 2010-2017 წელი)



წყარო: Comtrade.un.org

თუმცა აღსანიშნავია, რომ წმინდა ექსპორტის მონაცემები არ არის თავისუფალი რე-ექსპორტირებული ელექტრო ნაწარმისგან. ხშირ შემთხვევაში იმპორტირებული საქონელი საქართველოს ტერიტორიაზე ჩერდება ექვს თვეზე მეტ ხანს, რის შემდეგაც აღნიშნული საქონლის ექსპორტზე გატანა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ აღირიცხება როგორც ექსპორტი და არა რე-ექსპორტი. რე-ექსპორტის გამორიცხვის შედეგად საქართველოს ძირითადი საექსპორტო ელექტრო მონეტარიზაციის მოწყობილობებია:

ძირითადი ექსპორტირებული ელექტრონული მონეტარიზაციები (მლნ ამერიკული დოლარი, 2017 წელი)



წყარო: Comtrade.un.org

საქართველოს მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს ევროპულ საკანონმდებლო ჩარჩოსთან ჰარმონიზაციაში მოყვანაა. იგეგმება ქართული ბაზრის ევროპული საკანონმდებლო ჩარჩოსთან მაქსიმალურ დაახლოება რომლის ერთ-ერთი პუნქტიც ქართული ელექტრონული ბაზრის დარეგულირებაა ევროპული დირექტივებით. დირექტივათა შემოღება მიმართულია ქართულ ბაზარზე თანამედროვე სტანდარტების შეუსაბამო საქონლის საერთო წილის შემცირებისა და ბაზარზე ევროპული სტანდარტების შემოღებისკენ. მომდევნო ანგარიშში ყურადღება დაეთმობა აღნიშნული დირექტივის ძირითად მახასიათებლებსა და იმ შესაძლო პრობლემებს, რომლებიც შეიძლება დადგეს დღის წესრიგში ქართველი მწარმოებლებისა და იმპორტიორებისათვის. შეფასდება ქართველ მწარმეთა და იმპორტიორთა მზაობა ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით და ასევე მიმოხილულ იქნება ქართველ მომხმარებელთა თავისებურებანი. პრობლემებთან ერთად განხილული იქნება მათი დაძლევის შესაძლო გზები, რომელიც დაეყრდნობა მწარმოებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ შედეგებს.

PMO is a Management Consulting Company providing broad range of services to organizations in different industries.

The range of our services includes assisting companies in Market Research and Analysis,

Organizational Improvement, Market Entry and Expansion, Human Resource Management, Marketing and Product Development. We also assist our clients in Financial and Risk Management.¹

www.pmo.ge
(+995 32) 2 37 73 07
contact@pmo.ge
7 Niko Nikoladze St.



¹ IMPORTANT NOTICE: This document and all ideas, concepts, frameworks and recommendations included into this document are intellectual property of PMO Business Consulting. The passing whole or part of the information to third parties or/and copying, distribution, re-processing or any other usage of the document is not allowed without noticing the original source – www.pmo.ge